პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 16 (257)
ორშაბათი,
22
ივნისი,
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

## პირველკურსელები მიმდინარე გამოცდებზე

იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტთა დიდი უმრავლესობა უნივერსიტეტში საწარმოო სტაჟით მოვიდა. ზოგიც საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის შემდეგ დაუბრუნდა სწავლას. ცხოვრების სკოლას, პრაქტიკულ გამოცდილებას შრომის ფრონტზე ამ ახალგაზრდებში შრომისმოყვარეობის თვისება განუმტკიცებია, პასუხისმგებლობის გრძნობა აუმაღლებია. ამაზე მეტყველებს მათი დამოკიდებულება სწავლისადმი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში და მიმდინარე საგამოცდო სესიების დროს მიღწეული წარმატებები.

— სერიოზული ახალგაზრდები არიან, მუყაითად ეკიდებიან ყველა დავალებას, შედეგებსაც ნამდვილად კარგი პირი უჩანს — განაცხადა ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა გ. ინწკირველმა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში გამოცდაზე ჯერჯერობით 12 კაცი გავიდა, აქედან ხუთმა ფრიადი დაიმსახურა, შვიდმა კი — კარგი. სკკპ ისტორიაში გამოიცადა იურიდიული სპეციალობის 21 პირველკურსელი, მათი შეფასების მაჩვენებელი ნიშნები ასეთია: 12 ფრიადი, 8 კარგი, 1 დამაკმაყოფილებელი.

იურიდიული ფაკულტეტის ფილოსოფიის სპეციალობის I კურსზე 10 სტუდენტი სწავლობს, მათ გამოცდა ჩააბარეს ზოგად ფსიქოლოგიაში. დაიწერა 4 ფრიადი, 5 კარგი და 1 დამაკმაყოფილებელი. ამ ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის სპეციალობის ჯგუფში 7 კაციდან რუსული ენის გამოცდაზე ორმა ფრიადი მიიღო, ოთხმა — კარგი და ერთმა კი დამაკმაყოფილებელი. როგორც ვხედავთ, ეს ახალგაზრდები სწავლაშიც მაღალ შეფასებას იმსახურებენ — ძირითადად იწერება ფრიადები და კარგები, იშვიათად — დამაკმაყოფილებელი.

კარგი შედეგებით დაიწყეს გამოცდების ჩაბარება აღმოსავლეთმცოდნეობის, ფიზიკის, ქიმიისა და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტების პირველკურსელებმაც. ჯერ-ჯერობით მაღალი ნიშნები ჩანს, ოღონდ, ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: გამოცდებისათვის განკუთვნილი ვადა თითქმის უკვე ამოიწურა. გამოცდილითა რაოდენობა კი არც თუ ისე დიდია. როგორც ჩანს, პირველ რიგში, ძირითადად ის სტუდენტები აბარებენ გამოცდებს, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში სისტემატურად მუშაობდნენ და სესიების პერიოდში უკვე შესწავლილი საკითხების მხოლოდ განმეორება დასჭირდათ და არა უცნობი საგნის თავიდან შესწავლა.

უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის თანაბრადაა შექმნილი სასწავლო პირობები; ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა კარგადაც იყენებს ამ პირობებს, განუხრელად იმაღლებს თავისი ცოდნის დონეს, აღწევს წარმატებებს, ეუფლება სპეციალობას და შრომის ფრონტს კვალიფიციურ სპეციალისტად უბრუნდება. მაგრამ ზოგიერთები აშკარად ვერ იყენებენ კარგ სასწავლო ბაზას, არ უფრთხილდებიან დროს, ვერ ავლენენ შრომისმოყვარეობას, აცდენენ ლექცია-სემინარებს, არ ასრულებენ დავალებებს, არ ყოფნით ნებისყოფა საკუთარი თავის გაკონტროლებისათვის და შედეგიც, რა თქმა უნდა, არადამაკმაყოფილებელია.

ეკონომიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები — ა. მაჭაიაშვილი, ელ. ნარსავიძე, კ. ცოდებაძე ე. მელია მოუმზადებლები ცოვიდნენ გამოცდაზე სახალხო მეურნეობის ისტორიაში და შეფასებაც არადამაკმაყოფილებელი მიიღეს. აგრეთვე სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს საბუღალტრო აღრიცხვის თეორიაში პირველკურსელმა სტუდენტებმა — გრ. აბაშიძემ, ელ. გვასალიამ, გ. მარტინენკომ, ზ. რეხვიაშვილმა და ნ. ლილუაშვილმა.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებმა — ც. ყოყიგაშვილმა და თ. ცაგარელმა უვიცობა გამოამჟღავნეს ზოგადი მიწათმცოდნეობის ჩაბარების დროს. არადამაკმაყოფილებლად უპასუხა გამოცდაზე ნიადაგების გეოგრაფიაში ზ. ქურდიანმა; ასეთივე დაბალი შეფასება მიიღო ც. ჰაჰუამ სკკპ ისტორიაში, მაგრამ ამ მხრივ თანაკურსელებს მაინც თ. კაპანაძემ გადააჭარბა: იგი ორ საგანში გავიდა (ზოგადი მიწათმცოდნეობასა და ნიადაგების გეოგრაფიაში) და ორივეში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო.

ჩამორჩენილები ფილოლოგიის ფაკულტეტზეც გამომჟღავნდნენ. მოუმზადებელი მოვიდნენ გამოცდაზე ენათმეცნიერების საფუძვლებში გ. ბენაშვილი და ი. ჯაველიძე, რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პირველკურსელი სტუდენტები — ე. დოვლათიანი და ნ. კუსრაევა ვერ აღმოჩნდნენ მომზადებულნი და, მათი ტერმინით რომ გამოვთქვათ, ჩაიჭრნენ სკკპ ისტორიის გამოცდაზე.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი დალილა ჯიჯეიშვილი უნივერსიტეტში რომ შემოდიოდა, ფრანგული ენის შესწავლას აპირებდა, მაგრამ, უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ, მალე დაავიწყდა თავისი გადაწყვეტილება და შედეგად ის მიიღო, რომ წლის ბოლოს სპეციალურ საგანში მისი ცოდნა არადამაკმაყოფილზე შეაფასეს.

წლის ბოლოს რომ კარგი შედეგი გქონდეს, ამისათვის წლის დასაწყისშივე უნდა ზრუნავდე. ზემოთდასახელებულ სტუდენტთა წარუმატებლობის მიზეზი იმაში ხომ არ უნდა ვეძიოთ, რომ ისინი პირველკურსელები არიან და ჯერჯერობით გამოცდილება აკლიათ? შესაძლებელია ნაწილობრივ ასეც იყოს და ამ შემთხვევაში მათ მწარე გაკვეთილიც მიიღეს. უმთავრესი გზა ჯერ კიდევ წინ არის, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც სხვაა. ნუთუ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში ირკვევა, რომ სისტემატური შრომის გარეშე ცოდნის შეძენა შეუძლებელია? თუ ასეა, სამწუხაროდ, მაშინ მათ აქამდე იოლი გზით უვლიათ.

ახალგაზრდა, რომელიც უნივერსიტეტში სწავლისათვის არ მოსულა, უნდა მოვიცილოთ!

## კ. მარქსის ნაწარმოების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა

ივნისში სრულდება მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კ. მარქსის გენიალური ნაწარმოების — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ გამოქვეყნებიდან 100 წლისთავი.

ჩვენი უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრამ ამ თარიღს მიუძღვნა საჯარო სხდომა. მოხსენება თემაზე — კ. მარქსის გენიალური ნაწარმოების, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ გამოქვეყნებიდან 100 წლის თავის შესახებ გააკეთა პროფ. ს. ბერაძემ.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ კათედრის წევრები: დოც. თ. ლობჟანიძე, დოც. ვ. ბახტაძე, დოც. ი. გურგენიძე და დოც. გ. ჩიჩუა.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით პოლიტიკური ეკონომიის კაბინეტში მოეწყო გამოფენა.

## ციცერონის გარდაცვალების 2000 წლისთავი

მიმდინარე წელს მსოფლიო სამეცნიერო ცენტრები ფართოდ აღნიშნავენ დიდი რომაელი მწერლის, ფილოსოფოსისა და ორატორის — მარკუს ტულიუს ციცერონის გარდაცვალებიდან 2000 წლისთავს. ციცერონის შემოქმედებას უაღრესად დიდი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ციცერონის სახელთანაა დაკავშირებული ელინური კულტურის, განსაკუთრებით ბერძნული ორატორული ხელოვნებისა და ფილოსოფიის პოპულარიზაციისა და დანერგვის საქმე რომში. რენესანსის ეპოქამ ციცერონის მეშვეობით გაიცნო ელინური და ელინისტური პერიოდების ფილოსოფია და ბრწყინვალე ლათინური პროზა, რომელიც საფუძვლად დაედო არა მარტო „ახალ ლათინურ ენას“, არამედ დასავლეთ ევროპის ხალხთა პროზაულ მწერლობასაც.

დიდი მონაწილეობა მიიღო ციცერონის საიუბილეო თარიღის აღნიშვნაში ჩვენმა უნივერსიტეტმაც. ამასწინათ გაიმართა კლასიკური ფილოლოგიის კათედრის საჯარო სხდომა, რომელიც ციცერონის გარდაცვალებიდან 2000 წლისთავს მიეძღვნა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა და მოხსენება — „ციცერონის ადგილი ევროპის მწერლობაში“ წაიკითხა პროფესორმა ს. ყაუხჩიშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ციცერონის დამსახურება დასავლეთ ევროპის ხალხთა მწერლობის განვითარებაში. ციცერონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა დოც. აკ. ურუშაძემ.

დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი პროფესორ სერგი დანელიას საინტერესო და შინაარსიანი მოხსენება თემაზე — „ციცერონი როგორც ფილოსოფოსი“. პროფესორმა აუდიტორიას მოუთხრო ციცერონის ფილოსოფიური მოღვაწეობის შესახებ და გაარკვია ის ადგილი, რომელიც ციცერონს უკავია ანტიკური ფილოსოფიის ისტორიაში.

ციცერონის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ საინტერესო მოხსენებით გამოვიდა პროფ. ალ. წერეთელი.

სხდომას მრავალი მსმენელი დაესწრო.

თ. ფაშალიშვილი



სურათზე: სახელმწიფო გამოცდა გერმანულ ენაში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. საგამოცდო კომისიას გამოცდას აბარებენ ნანა ვახანია და ციური ალხაზაშვილი.

ფოტო ა. გემჯიანისა

## უცხოელი სტუმრები ჩვენს უნივერსიტეტში

### სტუმარი ბუდაპეშტიდან

ჩვენი უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში 29 მაისიდან 8 ივნისამდე სტუმრად იმყოფებოდა ბუდაპეშტის თეორიული ფიზიკის ახალგაზრდა ადიუნქტი იანოშ საბო.

იანოშ საბო მუშაობს ჰიდროაეროდინამიკის ახალ დარგში — მაგნიტურ ჰიდროდინამიკაში. კერძოდ იგი დაინტერესებულია ბლანტი სითხის არასტაციონარული მოძრაობის ამოცანების ამოხსნით. თბილისში ყოფნისას იანოშ საბომ ამ მიმართულებით კონსულტაციები მიიღო პროფ. ვ. დ. კუპრაძისა და პროფ. დ. ი. დოლიძისაგან, საქმიანი საუბრები ჰქონდა ჰიდროაერომექანიკის კათედრის წევრებთან და მათემატიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებთან. იგი გაეცნო ჩვენი უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტების კაბინეტ-ლაბორატორიებს.

ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტების თანხლებით უნგრელმა სტუმარმა დაათვალიერა ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები; ინახულა მცხეთა, საგურამო; ავიდა ჯვარსა და ზედაზენზე.

რ. სულიკაშვილი

### კანადელი პროფესორი ჩვენს უნივერსიტეტში

ჩვენს უნივერსიტეტს ეწვია სტუმარი კანადიდან — ქ. ვანკუვერის „ბრიტანეთის კოლუმბიის“ უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ რაგლზი, რომელიც აღნიშნული უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე საბჭოთა კავშირის ეკონომიური გეოგრაფიის კურსს კითხულობს.

სტუმარს შეხვდნენ აკად. ალ. ჯავახიშვილი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, დოც. გ. პატარიძე და სხვები.

რიჩარდ რაგლზი გაეცნო ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტრუქტურას, დაათვალიერა გეომორფოლოგიის, კლიმატოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის, ფიზიკური გეოგრაფიის, ეკონომიური გეოგრაფიის კაბინეტები, საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, გეოლოგია-პალეონტოლოგიის მუზეუმი, მინერალოგიის მუზეუმი და სხვ.

სტუმარი გაეცნო სტუდენტთა სადიპლომო და საკურსო შრომებს. V კურსის სტუდენტ ი. თევდორაშვილის შრომამ მდინარე კოდორის ჰიდროლოგიური რეჟიმის შესახებ კანადელი პროფესორის მოწონება დაიმსახურა.

აკად. ალ. ჯავახიშვილმა რიჩარდ რაგლზის საჩუქრად გადასცა საქართველოს რუკები და იმედი გამოთქვა, რომ ამ შეხვედრას მოჰყვება მეგობრული კავშირის დამყარება ქ. ვანკუვერის „ბრიტანეთის კოლუმბიის“ უნივერსიტეტისა და ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრებს შორის.

რიჩარდ რაგლზმა აღნიშნა, რომ ქართულ უნივერსიტეტში გატარებული დრო მარადმოსაგონარი იქნება მისთვის.— დიდი მადლობა ასეთი გულთბილი მიღებისათვის, გვეწვიეთ კანადაში, მობრძანდით ჩვენს უნივერსიტეტშიაც, ვეცდებით, გადაგიხადოთ პატივისცემა — გულწრფელი აღტაცებით თქვა მან გამომშვიდობებისას.

რ. ბასილაშვილი

### ამერიკელი ასპირანტები ეცნობიან უნივერსიტეტს

ამასწინათ ჩვენს უნივერსიტეტს ეწვია საქართველოში სტუმრად მყოფი ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) ასპირანტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ფილოლოგები და სოციოლოგები. სტუმრები მიიღეს უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ე. ხარაძემ, პრორექტორებმა — პროფ. ს. ქღენტმა, დოც. მ. მირიანაშვილმა და ესაუბრნენ მათ. ამერიკელი ასპირანტები გაეცნენ ჩვენი უნივერსიტეტის ასპირანტებს, მათს მუშაობას. ქართველმა ასპირანტებმა პასუხები გასცეს კოლეგების უამრავ შეკითხვებს. სტუმრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, იყვნენ ქართული ენის კაბინეტში, სადაც პროფესორმა აკაკი შანიძემ გულთბილი საუბარი გაუმართა და გააცნო ქართული ენის რამდენიმე უძველესი ძეგლი. ამერიკელმა ასპირანტებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ქართული ენისადმი და გამოთქვეს სურვილი შეისწავლონ იგი. ერთ-ერთმა სტუმარმა იცოდა ქართული ანბანი და საუბარში განაცხადა, რომ აპირებს საქართველოში ჩამოსვლას ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის მიზნით.

ამერიკელ სტუმრებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საჩუქრად გადასცა ქართული პოეზიის ანთოლოგია, ინგლისურად თარგმნილი ჩვენი უნივერსიტეტის დოცენტის, ვენერა ურუშაძის მიერ.

სტუმრები დიდად ნასიამოვნები დარჩნენ საჩუქრითა და უნივერსიტეტის გაცნობით.

# დიდი ქართველი მეცნიერი

(აკად. კორნელი სამსონის ძე კეკელიძის დაბადებიდან 80 წლისთავის გამო)

ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებამ, მთელმა ქართველმა ხალხმა დიდი მადლიერების გრძნობით აღნიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ კორნელი სამსონის-ძე კეკელიძის დაბადების 80 წლისთავი, რომელიც მისივე სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავს დაემთხვა.

კორნელი კეკელიძე გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერთა ჯგუფს მიეკუთვნება. მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი ინტენსიური და მრავალმხრივი საქმიანობა დაკავშირებულია ქართველი ხალხის კულტურის ისტორიის კვლევასთან. დიდი ნიჭისა და უშრეტი ენერგიის მეცნიერი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის თავდადებული მოჭირნახულეა.

კორნელი კეკელიძე დაიბადა 1879 წლის 2 (14) თებერვალს სოფ. ტობანიერში (ვანის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. უკვე იმთავითვე კორნელი კეკელიძემ გამოიჩინა გულმოდგინეობა და მშობლიური კულტურისადმი დიდი სიყვარული, რომელიც მას მისმა მასწავლებლებმა — პოლიევქტ ცინცაძემ და თედო ჟორდანიამ ჩაუნერგეს.

სემინარიის კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ კორნელი კეკელიძე აპირებდა სწავლის გაგრძელებას პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, მაგრამ ცუდი ეკონომიური პირობების გამო იძულებული გახდა ამ განზრახვის განხორციელებაზე ხელი აეღო. 1900 წლიდან იგი სახელმწიფოს ხარჯზე სწავლობს კიევის სასულიერო აკადემიის სიტყვიერების განყოფილებაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, საკანდიდატო დისერტაციის თემა კორნელი კეკელიძემ ძველი ქართული მწერლობიდან აირჩია. ბეჯითი მუშაობის შედეგად მან აკადემიას წარუდგინა საყურადღებო ნაშრომი — „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах".

ოფიციალურმა ოპონენტებმა შრომა მოიწონეს და მას მაღალი შეფასება მისცეს. ეს მოხდა 1904 წელს. არსებითად ესაა კორნელი კეკელიძის მრავალწლოვანი მეცნიერული მუშაობის დასაწყისი.

სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ აკადემიის საბჭომ კორნელი კეკელიძე დატოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად. გაზეთი „ივერია" სიხარულით შეეგება ამ ფაქტს. კორესპონდენტი აღტაცებით აუწყებდა მკითხველებს: „კორნელი კეკელიძე აკადემიის პროფესორთა კრების გადაწყვეტილებით დატოვებული იქნა აკადემიაში სტიპენდიანტად, ე. ი. საპროფესოროდ მოსამზადებლად. ეს პირველი მაგალითია ქართველის აკადემიაში სტიპენდიანტად დატოვებისა.

სალამი მშრომელ ახალგაზრდას და ბრწყინვალე მომავალი ჩვენდა სასიხარულ-სასიქადულოდ". („ივერია", 1904 წ., № 148).

სინოდმა აკადემიის დადგენილება არ დაამტკიცა, კორნელი კეკელიძე არ იქნა დატოვებული საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ მომავალ მეცნიერს გული არ გასტეხია, მუშაობა არ შეუწყვეტია, ქართული წერილობითი კულტურისადმი ინტერესი არ შენელებია. იგი გულდასმით განაგრძობდა ქართული ხელნაწერების შესწავლას, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის საკითხების კვლევას, რუდუნებით დატრიალებდა თავს ჩვენი სახელოვანი წინაპრების ნაჭირნახულევს; 1905 წელს გამოაქვეყნა პირველი შრომა: „ახალი საგალობლები აბო თბილელისა" („მწყემსი", 1905 წ., № 13—14).

1905 წელს კორნელი კეკელიძე მუშაობს მასწავლებლად ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებელში, ხოლო 1906 წლიდან თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში ხელმძღვანელობს სასწავლო ნაწილს. აქ იგი ხელს უწყობს ქართული დისციპლინების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის კომიტეტისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში.

1908 წელს კორნელი კეკელიძემ კიევის სასულიერო აკადემიას წარუდგინა სამაგისტრო შრომა: „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение".



ავტორმა ბრწყინვალედ დაიცვა იგი და მოიპოვა მაგისტრის ხარისხი.

იმავე წელს კორნელი კეკელიძე მიიწვიეს კიევის აკადემიის თანამშრომლად, მაგრამ უარი განაცხადა და სამოქმედო ასპარეზად თბილისი აირჩია, რადგან, მისი მართებული აზრით, მას აქ უფრო ენერგიულად შეეძლო წამოწყებული საქმის გაგრძელება.

1910 წელს კორნელი კეკელიძემ გამოაქვეყნა გამოკვლევა ცნობილი ბიზანტიელი მწერლის სვიმეონ ლოღოთეტის (X ს.) შესახებ. მალე მანვე აღმოაჩინა სვიმეონის საქმის განმგრძობის, იოანე ქსიფილინოსის შრომები, რომელთა ბერძნულ დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამით მკვლევარმა ამოავსო დიდი ხარვეზი მსოფლიო ქრისტიანულ ლიტერატურაში და ნათელყო ძველი ქართული მწერლობის მსოფლიო-მეცნიერული მნიშვნელობა. ამ ისტორიულმა აღმოჩენამ და მისმა ანალიზმა კორნელი კეკელიძეს მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის სახელი მოუხვეჭეს.

1912 წლიდან კორნელი კეკელიძე ლექციებს კითხულობს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე. იმავე წელს ბეჭდავს ძველი ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს („იერუსალიმის განჩინება", „ძველ-ქართული არქიერატიკონი").

1915 წლიდან კორნელი კეკელიძემ დაიწყო გამოსაცემად მომზადება ისეთი ძეგლებისა, რომელთა ბერძნული თუ სხვაენოვანი დედანი დაკარგულია. 1918 წელს დაბეჭდა კიდეც პირველი ტომი ამ სერიისა (მეორე ტომი გამოქვეყნდა 1946 წელს. მზადაა მომდევნო ტომებიც).

კორნელი კეკელიძე აქტიურად მონაწილეობდა ქართული უნივერსიტეტის დაარსება-გახსნის საქმეში. ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ბურჯი წლების მანძილზე ენერგიულად ხელმძღვანელობდა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატს, სასწავლო-სამეცნიერო ნაწილს, იმთავითვე უძღვებოდა უნივერსიტეტის ერთ-ერთ უძველეს კათედრას — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას და ქართული ლიტერატურის ისტორიის კაბინეტს, რომელიც მის სახელს ატარებს. ამ საქმეს მხცოვანი მეცნიერი წარმატებით უძღვება დღესაც.

კ. კეკელიძეს კარგად ესმოდა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ხელნაწერების წესრიგში მოყვანა, კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია და კატალოგიზაცია, ხელნაწერებში დაცული მასალის შინაარსისა და შედგენილობის გარკვევა, მეცნიერული აღწერა და საკვლევი მიზნისთვის გამოყენება. ამიტომაც იგი გულდასმით ეცნობოდა ძველ ხელნაწერებს. იძლეოდა მათს აღწერილობა-დახასიათებას, სწავლობდა ხელნაწერებში შემონახულ ძეგლებს და ადგენდა მათს ტექსტს მეცნიერული პუბლიკაციისათვის. მან ადრევე შენიშნა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის კვლევას საკმაოდ აფერხებდა და აძნელებდა ის გარემოება, რომ ძველ მწერალთა თხზულებანი არ იყო სათანადოდ გამოცემული. მართალია, არსებობდა ზოგი თხზულების პირველხარისხოვანი გამოცემა, მაგრამ საერთოდ ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულ-აკადემიური გამოცემის საქმე ერთობ ჩამორჩებოდა. კორნელი კეკელიძემ ენერგიულად მოკიდა ხელი ამ ხარვეზის შევსებას და ზედიზედ გამოაქვეყნა ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლები: „შვიდი მთიები", „აბო თბილელის მარტვილობა", „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" და ა. შ.,

საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მეცნიერის კალამს ეკუთვნის 250-ზე მეტი შრომა, მათ შორის—ოცდაათამდე წიგნი. მათ საფუძველზე დაიწერა კაპიტალური, ფუნდამენტალური ნაშრომი: „ქართული ლიტერატურის ისტორია", რომელიც ახლა მეოთხე გამოცემას ითვლის და დიდ მოწონებას იმსახურებს როგორც ჩვენს, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. „ქართული ლიტერატურის ისტორია" ხანგრძლივი მეცნიერული მუშაობის ნაყოფია. ისტორიულ-ლიტერატურული მასალის უაღრესად ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად, საგნის ცოდნითა და დიდი სიყვარულით, მოვლენათა მართებული ანალიზით კორნელი კეკელიძემ დაალაგა და კურსად ჩამოაყალიბა დიდი მასალა. ცალკე უნდა აღინიშნოს კორნელი კეკელიძის „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", რომლის ხუთი ტომი უკვე გამოვიდა, ხოლო მომდევნო ორი ტომი მომზადებულია დასაბეჭდად.

თავის მრავალრიცხოვან შრომებში კორნელი კეკელიძე განიხილავდა ძველი ქართული მწერლობის ძირეულ საკითხებს. ამ საკითხების რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათი უბრალო ჩამოთვლაც კი ძალზე შორს წაგვიყვანდა. მკვლევარს აინტერესებდა ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების მთელი პროცესი — ქართული დამწერლობის საწყისებიდან გარდამავალი ხანის მწერლამდე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა არც ერთი ძირითადი საკითხი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, რომლის შესახებ კორნელი კეკელიძეს თავისი აზრი არ გამოეთქვას და შესაფერისად არ გაეშუქებინოს. იმდენად მრავალმხრივი და ნაყოფიერია კორნელი კეკელიძის მოღვაწეობა, რომ ძნელია საგანგებოდ გამოიყოს რომელიმე უბანი მის საქმიანობაში. ამჯერად ჩვენ ამას არც ვისახავთ მიზნად, მაგრამ არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ თავისი გამოკვლევებითა და პუბლიკაციებით კორნელი კეკელიძემ დიდად წასწია წინ ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის საქმე.

წლების მანძილზე კორნელი კეკელიძე მუშაობდა რა ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემაზე, ავლენდა მსოფლიო მეცნიერებისათვის უცნობ ძეგლებს და ამით ავსებდა ძველი ლიტერატურის ხარვეზს, გახაზავდა ქართველთა წვლილს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ძალზე დიდია კორნელი კეკელიძის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. ძნელად დაიძებნება დღეს ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, რომელსაც კორნელი კეკელიძის სკოლა არ გაევლოს, მისი მშობლიური მზრუნველობა არ ახსოვდეს. მის მოწაფეთა შორის მრავლად არიან ფოლკლორისტები, ენათმეცნიერები, ისტორიკოსები...

კორნელი კეკელიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა და იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი არჩეული იყო თბილისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატად, საქართველოსა და ამიერკავკასიის ცაკ-ის წევრად, მუშაობდა განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად, სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარედ, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ყველგან, სადაც კი უხდებოდა მუშაობა, იგი გამოირჩეოდა საქმისადმი სიყვარულით, მომთხოვნელობითა და პრინციპულობით.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მრავალგზის იყო აღნიშნული. 1928 წელს წითელი არმიის 10 წლისთავზე საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს მიერ იგი დაჯილდოებული იქნა საპატიო სიგელით. ასეთივე სიგელი მიიღო მან საქართველოს უმაღლესი საბჭოს ცაკ-ის პრეზიდიუმისაგან 1928 წელს. 1943 წელს კორნელი კეკელიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1944 წლის ბოლოს კორნელი კეკელიძე დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1955 წელს „ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და ლიტერატურის გამოკვლევის დარგში ძვირფასი ნაშრომებისათვის და მეცნიერული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით" კორნელი კეკელიძე განმეორებით იქნა დაჯილდოებული შრომის წითელი დროშის ორდენით. 1954 წელს მან მიიღო უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენი.

კორნელი კეკელიძის ნაყოფიერმა შრომამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ამის ნათელი დადასტურება იყო მისი არჩევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ შემადგენლობაში 1941 წელს. წლების მანძილზე იგი მისთვის დამახასიათებელი ერუდიციითა და ჩვეული ენერგიით უძღვებოდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს.

ღვაწლმოსილი მკვლევარი, რომლის დაბადების 80 წლისთავს სიხარულით აღნიშნავს მშობელი ხალხი, ბრწყინვალე წარმომადგენელია „იმ მეცნიერებისა, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზადაა ემსახუროს ხალხს, მზადაა გადასცეს ხალხს ყველა მონაპოვარი მეცნიერებისა, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით" (ი. სტალინი).

ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან იუბილარს, დიდ მეცნიერსა და შესანიშნავ მოქალაქეს, ქართული ფილოლოგიის პატრიარქს დღეგრძელობა და შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობა საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ.

**ლევან მენაბდე**

## კორნელი კეკელიძის იუბილე

საქართველოს მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს გამოჩენილი მეცნიერის, ქართული კულტურის დიდი მოღვაწის — კორნელი სამსონის ძე კეკელიძის დაბადებიდან 80 წლისთავი. 8 ივნისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში შეიკრიბნენ ქართველი მეცნიერები, სტუდენტები, მწერლები, მსახიობები, კულტურის მუშაკები, სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან, ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები. ისინი აქ მოვიდნენ ღვაწლმოსილი მეცნიერის საიუბილეო საღამოზე, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა.

მოხსენებით — „აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა" გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ალექსანდრე ბარამიძე.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს მიესალმნენ: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით — უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით — აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი რაფიელ დვალი; საქართველოს მწერლების სახელით — მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, პოეტი ირაკლი აბაშიძე; საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა სახელით — განათლების მინისტრი, პროფესორი გიორგი ჯიბლაძე; საქართველოს სსრ კულტურის მოღვაწეთა სახელით — კულტურის მინისტრი დავით ჩხიკვიშვილი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სახელით — აკადემიკოსი გიორგი წერეთელი; აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სახელით — დოცენტი დილარა ალიევა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი, პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე; სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სახელით — აკადემიკოსი აკაკი შანიძე; საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით — სსრკ სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე; იუბილარის მშობლიური რაიონის — ვანის მშრომელთა სახელით — პედაგოგი ალექსანდრე ნადირაძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ქეთევან ლომთათიძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ილია აბულაძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სახელით — პროფესორი ვარლამ დონდუა; ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით — დოცენტი კონსტანტინე მეძველია; თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით—დოცენტი ბიძინა ქიქოძე; თელავის გოგებაშვილის სახელობის პედინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი ნიკოლოზ ქორთუა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი ასლან ინაიშვილი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის სახელით — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ღლონტი, სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით — დოცენტი ოთარ ჭურღულია და სხვები.

პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა წაიკითხა იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი.

დოცენტმა თინათინ მრევლიშვილმა გამოაქვეყნა იუბილარის სახელზე მოსული მრავალი დეპეშა და ადრესი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მეცნიერების, სპეციალისტების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

თავის სიტყვაში აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას საბჭოთა მეცნიერებაზე ესოდენი ზრუნვისათვის, კერძოდ კი, მისი მოღვაწეობის ღირსეული დაფასებისათვის.

საიუბილეო საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტთა მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივებმა.

# თბილისში, ჩვენს კოლეგებთან

8-დან 14 მაისამდე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც სკკპ XXI ყრილობას მიეძღვნა. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები გამოვიდნენ მოხსენებებით პლენარულ სხდომაზე და, აგრეთვე, ფილოსოფიის, ისტორიის, გეოგრაფიისა და იურიდიულ მეცნიერებათა სექციებში.

ჩვენი სტუდენტების მოხსენებები მოსმენილ იქნა დიდი ყურადღებით და მათ ცხოველი კამათი გამოიწვიეს. მაგალითად, 13 მაისს ისტორიის სექციის სხდომაზე ჩვენ წარვადგინეთ ორი მოხსენება. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის. ვ. ვინოგრადოვის მოხსენებამ თემაზე — „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან ჩრდილო კავკასიის ტომებისა და ხალხების კავშირის უძველესი გზების შესახებ“.

გეოგრაფია-გეოლოგიის სექციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა გეოგრაფებმა — ტ. ალექსანდროვამ და ა. ლუკაშოვამ. ტ. ალექსანდროვას მოხსენება, დამსწრეთა აზრით, მეტად საინტერესო იყო მეცნიერული თვალსაზრისით.

მთელი კონფერენცია ორგანიზებულად და შემოქმედებითად ჩატარდა.

კონფერენციის შემაჯამებელ სხდომაზე ჩვენს მომხსენებლებს — ტ. ალექსანდროვას, ა. ალეშინს, პ. კორნეევს, ვ. ვინოგრადოვს, ა. ლუკაშოვს, რ. ტერმინასიანს, ა. სანდრეტის და ა. კაზანოვს გამოეცხადათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მადლობა და გადაეცათ ქების სიგელები.

კონფერენციის მუშაობის პერიოდში ჩვენ გავეცანით უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და კათედრების მუშაობას, ალკკ კომიტეტისა და სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობას. ისევე, როგორც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ჩვენი კოლეგები—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ მშენებლობებზე.

ჩვენ დიდი ინტერესით ვეცნობოდით სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობას, აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარე, IV კურსის სტუდენტი ალექსანდრე ალექსიძე იმ დღეებში ძალზე დატვირთული იყო, მაგრამ ჩვენ ყოველ წუთში ვგრძნობდით მის ზრუნვას ჩვენს დელეგაციაზე. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება აწარმოებს დიდ მუშაობას, ავტორიტეტით სარგებლობს უნივერსიტეტში და მისი მოღვაწეობის მთელი რიგი მხარეები, ჩვენი შეხედულებით, ჭკუის სასწავლებელს წარმოადგენს.

სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა კარგად ორგანიზებულია. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საფუძველს წრეები წარმოადგენენ. წრეების თავმჯდომარეები შეადგენენ ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს, ხოლო საფაკულტეტო საბჭოების თავმჯდომარეები — სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს. ამას გარდა, ცენტრალური საბჭოს შემადგენლობაში ორი წლის ვადით აირჩევიან საბჭოს თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე და მდივანი.

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება რეგულარულად ბეჭდავს სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომებს კრებულში — „სტუდენტთა სამეცნიერო შრომები“. უკვე გამოცემულია 8 კრებული. უნივერსიტეტის რექტორი ყოველნაირად უწყობს ხელს სტუდენტთა ნაშრომების გამოცემას. კრებულები გამოდის 500 ცალი ტირაჟით. სტამბა-გამომცემლობას ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეაქვს თავის სამუშაო გეგმაში ამ კრებულების გამოშვება.

სტუმართმოყვარეობა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში აღმოვაჩინეს მოსკოვის უნივერსიტეტის დელეგაციის წევრებს, ძნელად აღსაწერია. ჩვენ ძალზე მადლობელი ვართ კონფერენციის ორგანიზატორებისა, აგრეთვე სტუდენტების — მ. ზამთარაძის, გ. კოსტავასი და ბევრი სხვისა.

გადავცემთ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სალამს და ბედნიერნი ვიქნებით, თუ მათ მომავალ სასწავლო წელს შევხვდებით ჩვენს სამეცნიერო კონფერენციაზე.

**ნ. სივაჩევი,**

მოსკოვის უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის წევრი, დელეგაციის ხელმძღვანელი.

(გაზ. „მოსკოვსკი უნივერსიტეტ“)



სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი გ. ბეგალიშვილი (მარჯვნივ) უმაღლეს მათემატიკაში გამოცდას აბარებს ასისტენტ არჩილ სულაქველიძეს.

ფოტო ა. გემჯიანისა

# საგამოცდო სესიის შედეგებიდან

ბიოლოგიის ფაკულტეტზე დამთავრდა ზაფხულის საგამოცდო სესია. V კურსზე გამოცდები დაიწყო 18 აპრილს და გაგრძელდა 30 აპრილამდე. მეხუთე კურსის მხოლოდ ერთი სტუდენტი (მ. ორჯოდაშვილი) არ იქნა დაშვებული საგამოცდო სესიაზე, რადგან წინა სემესტრის დავალიანება ჰქონდა. დანარჩენმა სტუდენტებმა დაიცვეს სადიპლომო შრომები და წარმატებით ჩააბარეს სასესიო საგნები. ამჟამად მიმდინარეობს სახელმწიფო გამოცდები. უკვე ჩატარდა ერთი გამოცდა. სახელმწიფო გამოცდაზე კურსმოსმენილი სტუდენტები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტი, რომ 50 ნიშნიდან 26 ფრიადია, ხოლო 16 — კარგი.

არადამაკმაყოფილებელი შეფასება თითო საგანში მიიღეს ნ. ჯავახიშვილმა და ნ. დავითაშვილმა.

I, II და III კურსებზე გამოცდები მიმდინარეობდა 8 მაისიდან 6 ივნისამდე. საგამოცდო სესიაზე გამოცხადდა ყველა სტუდენტი. მათგან ყველა საგანში ფრიადი შეფასება მიიღეს ი. ჭუჭულაშვილმა, თ. თათარაძემ, გ. დიასამიძემ, ა. შათირიშვილმა. ა. გურგენიშვილმა (I კ.); ჯ. ჩიკვაიძემ, ლ. ვეფხვაძემ, ლ. სულაძემ, მ. ჩიქოვანმა, დ. პატარაიამ, მ. პატარაიამ, ვ. გოგიჩაიშვილმა, ზ. ყარაულაშვილმა, ლ. ჯგერენაიამ, მ. გიგინეიშვილმა, ნ. მჭედლიშვილმა, მ. ტყეშელაშვილმა, მ. კახაიამ (II კ.); მ. ქუქუნაძემ, მ. ივანიშვილმა, ი. კოლოტოვამ, მ. რომჩუპკინამ (III კ.).

გამოცდების დროს ზოგმა სტუდენტმა სუსტი მომზადება გამოამჟღავნა, რისთვისაც სათანადო შეფასებაც დაიმსახურა. არადამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღეს ლ. ტოროტაძემ, კ. ალავიძემ, ნ. თულაშვილმა, ლ. ზერეკიძემ, მ. ხაჩიძემ (III კ.).

ამჟამად I — IV კურსების სტუდენტებს სასწავლო პრაქტიკა აქვთ. I კურსის სტუდენტები პრაქტიკას გადიან ბათუმის რაიონსა და მარტყოფის მიდამოებში; II კურსის სტუდენტები კი — თბილისის, ბორჯომისა და სოხუმის მიდამოებში. სასწავლო პრაქტიკაზე სტუდენტები ეცნობიან ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის სისტემატიკურ შემადგენლობას, გავრცელებას, ზონალობას, ბიოცენოზთა კომპლექსებს, ეკოლოგიურ თავისებურებებს და სხვ.

სასწავლო პრაქტიკის დროს მოპოვებულ მასალებს სტუდენტები ადგილზე ამუშავებენ და სისტემაში მოჰყავთ: ამზადებენ ჰერბარიუმებს, პრეპარატებს, სამუზეუმო კოლექციებს და ა. შ. საველე პრაქტიკის დროს მოპოვებული მასალები წარმატებით გამოიყენება ბოტანიკისა და ზოოლოგიის პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მუშაობაში—სტუდენტთა მომდევნო ნაკადისათვის.

მესამე კურსის სტუდენტები ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით გადიან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ბოტანიკისა და ზოოლოგიის სპეციალობის სტუდენტები პრაქტიკას გადიან ლაგოდეხისა და სოხუმის მიდამოებში, სადაც ეცნობიან ალპური და ტყის ზონათა ცხოველებსა და მცენარეებს, ზღვის ფაუნას, სუბტროპიკულ მცენარეულობას, ცალკეულ ბიოცენოზებს. მცენარეთა ფიზიოლოგიის სპეციალობის სტუდენტები პრაქტიკის გასავლელად გაემგზავრნენ ანასეულის საბჭოთა მეურნეობაში, ბათუმის და სოხუმის ბოტანიკურ ბაღებში, ხოლო ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობის სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კეთილმოწყობილ ლაბორატორიაში.

მეოთხე კურსის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით გადიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტებში, საქართველოს ბოტანიკურ ბაღებში, ზოოპარკში, თევზმეურნეობის სადგურში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის რიგ ინსტიტუტებში და სხვაგან.

ეჭვი არაა, რომ ჩვენი სტუდენტები წარმატებით დაამთავრებენ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას და ახალი ცოდნით, ახალი ენერგიით შეუდგებიან მეცადინეობას.

დოც. **ა. ჯანაშვილი**

ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

# საინგილოში

ასრულდა ჩვენი დიდი ხნის სურვილი—გვენახა საინგილო, ქართული მხარე, რომელიც ამჟამად ტერიტორიულად მოძმე აზერბაიჯანს ეკუთვნის.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა კათედრების პროფესორ-მასწავლებელთათვის ფაკულტეტის პროფორგანიზაციამ საინგილოში მოაწყო ექსკურსია, რომელშიც უნივერსიტეტის 12 მეცნიერ-თანამშრომელი მონაწილეობდა.

ჩვენი მიზანი იყო გავცნობოდით საინგილოს თავისებურებებს, ხალხს, ბუნებას, დაგვეთვალიერებინა კულტურის ძეგლები.

ისტორიული უკუღმართობის გამო, რომელიც მე-17 საუკუნეში თავს დაატყდა აღმოსავლეთ საქართველოს შაჰ-აბასის ველური ურდოების შემოსევის შედეგად, შეიქმნა პირობები, რომელთაც განსაზღვრეს ამ მშვენიერი მხარის საქართველოს ტერიტორიისაგან ჩამოშორება. მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში შაჰ-აბასმა ქართველების შეუდრეკელი პატრიოტული სულისკვეთების ჩახშობა იმით სცადა, რომ კახეთის—ახლანდელი ზაქათალის, ბელაქნისა და კახის რაიონების მცხოვრები ქართველები მისმა მხედრებმა მხეცურად დაარბიეს, ააწიოკეს, აყარეს და სპარსეთის გზას გაუყენეს; გაჩეხეს ბაღ-ვენახები, ნარგავები, გააპარტახეს ბუნებით მდიდარი მხარე. ცნობილია, რომ შაჰ-აბასმა ამ დროს 100 ათასზე მეტი ქართველი გაწყვიტა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სპარსეთის შორეულ რაიონებში გადაჰკარგა და გაამაჰმადიანა.

ამ ისტორიული უბედურების დროს გადარჩენილი ქართველებისაგან წარმოდგა საინგილო. მცირერიცხოვანმა ქართველებმა ისევ მეურნეობას მოჰკიდეს ხელი, გააშენეს ბაღ-ვენახები, აღადგინეს და დაიცვეს ქართული ეკლესიები და კულტურის კერები.

საინგილოს შენარჩუნებული აქვს ქართული ბუნების სიმშვენიერე თავისი მთის წყალუხვი და ჩქარი მდინარეებით, ლამაზი და მოვლილი გზებით, ტყიანი მთებითა და ლაჟვარდი ცით; მაგრამ განსაკუთრებული ის არის, რომ ინგილოებს დიდი სულიერი სიძლიერე, მტკიცე ნებისყოფა და გამძლეობა გამოუჩენიათ ტკბილი ქართულის, მამაპაპეული ტრადიციებისა და მთლიანი ეროვნული სახის შენარჩუნებაში.

საინგილოში დღემდე შენარჩუნებულია ქართული კულტურისა და დიდი ისტორიული წარსულის ამსახველი ისტორიული ძეგლები, მეტად საინტერესო თქმულებები, გადმოცემები, ლეგენდები.

საინგილო სპარსელების თარეშს საბოლოოდ გადაურჩა 1830 წელს, როდესაც რუსეთის ჯარების დახმარებით შესაძლებელი გახდა საინგილოს შემოერთება თბილისის გუბერნიისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად, ეს მხარეც დაადგა აღორძინების გზას. საინგილოს სოფლებში ინგილოები სკოლებში თავის მშობლიურ, ქართულ ენაზე იღებენ რვაწლიანსა და საშუალო განათლებას, კითხულობენ მშობლიურ ლიტერატურას, რადიო-მიმღებებით ისმენენ ქართულ მუსიკას. საინგილოში აღიზარდა საკუთარი, ძლიერი ინტელიგენცია. ჯერ მარტო ჩვენმა მშობლიურმა უნივერსიტეტმა გაზარდა არაერთი ინგილო კარგ სპეციალისტად, რომელიც ახლა თავის მხარეში მოღვაწეობს და ამაყად ატარებს უნივერსიტეტის დამთავრების ნიშანს. თუ ადრე ძირითადად ჩამოსული მასწავლებლებით იყო დაკომპლექტებული საინგილოს ქართული სკოლები, ახლა ადგილობრივი მოსახლეობიდან აღზრდილებმა შეცვალეს ისინი და ჩამოსულები უკვე იშვიათობას წარმოადგენენ.

საუბარი გვქონდა კახის ქართული საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი ი. ქიტაიშვილი. სიამაყის გრძნობამ შეგვიპყრო, როდესაც თითქმის ყველა მათგანს მკერდზე უნივერსიტეტის დამთავრების ნიშანი შევამჩნიეთ. თავისი საუბრებით საინგილოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე მდიდარი შთაბეჭდილებებით აგვავსეს კახის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებლებმა—შალვა ტარტარაშვილმა და პეტრე ბაჩალიშვილმა.

კახის ქართულ საშუალო სკოლას კარგი შენობა აქვს, იგი ორი კორპუსისაგან შედგება, ერთში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, მეორე კი სკოლა-ინტერნატის დანიშნულებას ასრულებს. აქ ცხოვრობენ მახლობელი სოფლებიდან ჩამოსული მოსწავლენი, რომელთაც საშუალო განათლების მიღება სურთ.

ჩვენ აქ სიამოვნებით მოვისმინეთ, რომ საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებები ყურადღებით არიან საინგილოს სკოლების მიმართ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გასულ წელს გააფორმა შეფობა კახის საშუალო სკოლასთან და კარგი საჩუქრებიც გაუგზავნა.

დღეს ინგილო-ქართველები მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობენ. ბოლო მოეღო ინგილოების სოციალურ-ეროვნულ ჩაგვრას. საინგილო—ეს წარმტაცი კუთხე ახლა ფართოდ არის ჩაბმული ახალი სოციალისტური მშენებლობის ფერხულში და ერთა ურთიერთთანამშრომლობის პირობებში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს.

**მ. ჭელიძე**



სურათზე: ექსკურსანტები კახის ქართული საშუალო სკოლის ეზოში ინგილო-ქართველებთან ერთად.

ფოტო ა. გემჯიანისა



სურათზე: გამოცდა ანალიზურ მექანიკაში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მექანიკის სპეციალობის III კურსზე. სტუდენტი კ. მუსხელიშვილი (მარჯვნივ) პასუხობს პროფ. ა. კალანდიას და ასისტენტ ა. კეკელიას.

ფოტო ა. გემჯიანისა

# ისტორიკოსთა სამეცნიერო სესია

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა უნივერსიტეტში. ესაა ცალკეული ფაკულტეტების სამეცნიერო სესიების ჩატარება ყოველწლიურად, სადაც ერთგვარად ჯამდება ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი გეგმით ჩატარებული მუშაობა. ასეთი მორიგი, III სამეცნიერო სესია გამართა ისტორიის ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ (დეკანი პროფ. დ. გვრიტიშვილი).

სესიის 5 სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს: დოც. გ. გამსახურდიამ — კომუნისტური პარტია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის ბრძოლაში (1917—1920 წ. წ.); დოც. მ. ალექსიშვილმა — ქსენეფონტე ათენის სახელმწიფოს მმართველობისა და ეკონომიური მოწყობის შესახებ; დოც. ა. ბახტაძემ — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის იდეის შემდგომი განვითარება პარიზის კომუნის გამოცდილების საფუძველზე; პროფ. შ. ამირანაშვილმა — ბრიტანეთის მუზეუმის პორტრეტული გემა BM 119712 ფალაური წარწერით; პროფ. გ. ჩიტაიამ — ქართული ეთნოგრაფიული ატლასის შედგენის მიზანი, პრინციპები და მეთოდები; ნ. ასათიანმა — XVI — XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში მწარმოებელი საზოგადოების (გლეხობის) სოციალ-ეკონომიური დახასიათებისათვის; დოც. ვ. დონძემ — ნიკო ნიკოლაძე ომებისა და განიარაღების პრობლემის შესახებ; დოც. ვალ. მაჭარაძემ — რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის საკითხისათვის (ისტორიული ვითარების მოკლე მიმოხილვა); დოც. ო. ჯაფარიძემ — 1958 წლის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში; ნ. კიკვაძემ — ლიმან ფონ სანდერსის „საქმე"; დოც. ნ. ლომოურმა — კოლხეთის სანაპიროთა ბერძნული კოლონიზაცია; პროფ. ი. ცინცაძემ — საქართველოზე მონღოლთა პირველი თავდასხმის ისტორიისათვის (1220—1222 წ. წ.); პროფ. ალ. წერეთელმა — მარკუს ტულიუს ციცერონი (პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი 83—70 წ. წ.); დოც. ზ. შველიძემ — თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა ნაროდოვოლური წრეები და რექტორ ჩუდეცკის მოკვლა; პროფ. ა. ფირცხალაიშვილმა — ახალი ცნობები გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონის შესახებ; დოც. ი. ტაბაღუამ — რუსეთის ადგილი ანტანტაში პირველი მსოფლიო ომის დროს; დოც. ქ. გრიგოლიამ — ქართული ბეგარა, მისი დამახასიათებელი ნიშნები და ძირითადი სახეები (XVI — XVIII ს. ს.); დოც. ვ. კოპალიანმა — არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან; დოც. ქ. მეშველიანმა — პარიზის 1413 წლის აჯანყების შესწავლისათვის; დოც. ქ. წერეთელმა — Деятельность Советов трудящихся в Азербайджане и Армении (1917—1922 гг.).

## თავისუფალ დროს




ქვემოთ მოყვანილი პირობითი ნიშნები შეცვალეთ სათანადო ასოებით და წაიკითხეთ საბჭოთა კავშირის გმირი ქალაქების სახელები.

შეადგინა ო. ჭეიშვილმა

## გამოცდას აბარებენ ჟურნალისტები

მეორეკურსელი ჟურნალისტები თბილისის მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციებში საწარმოო პრაქტიკის წარმატებით დამთავრების შემდეგ შეუდგნენ საზაფხულო გამოცდების ჩაბარებას.

10 ივნისს მათ პირველი გამოცდა ჰქონდათ ახალ ქართულ ენაში (სინტაქსი) დოც. ი. ქავთარაძესთან.

გამოცდის დამთავრების შემდეგ დოც. ი. ქავთარაძემ აღნიშნა, რომ იგი კმაყოფილია მომავალი ჟურნალისტების პასუხით და უსურვა მათ სხვა საგნების ასევე კარგად ჩაბარება.

## კარგი შედეგი

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ეკონომიური გეოგრაფიის სპეციალობის 472-ე ჯგუფის სტუდენტებს სტატისტიკაში ლექციები გვეკითხებოდა მიმდინარე სასწავლო წლის ორსავე სემესტრში. საგნის მასწავლებელი, ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის გამგე პროფ. ლ. კარბელაშვილი ლექციების გარდა სემინარებსაც გვიტარებდა. ყოველი სემინარისათვის წინასწარ გამოიყოფოდა სტუდენტი, რომელსაც დაევალებოდა მოხსენების წაკითხვა გარკვეულ საპროგრამო თემაზე. ამ თემის შერჩევა და საჭირო ლიტერატურის მითითება ხდებოდა უშუალოდ პროფესორის მიერ. ამასთან, დანარჩენ სტუდენტებსაც ევალებოდათ აღნიშნული მასალის მომზადება, რათა მათ შეძლებოდათ სემინარზე აქტიური მონაწილეობა.

აღნიშნულმა მეთოდმა სათანადო ნაყოფიც გამოიღო. სტუდენტები სისტემატურად მეცადინეობდნენ წლის განმავლობაში და გამოცდაზეც კარგად მომზადებული წარდგნენ. ოთხმა სტუდენტმა მიიღო ფრიადი. დანარჩენებმა კი კარგი შეფასება დაიმსახურეს.

გენო აბულაძე

# სპორტის ამბები

## X საუნივერსიტეტო სპარტაკიადის შედეგები

საუნივერსიტეტო სპარტაკიადა ჩატარდა სპორტის 17 სახეში და მასში მონაწილეობა მიიღო 1478-მა სტუდენტმა.

შეჯამდა სპარტაკიადის შედეგები. საერთო პირველი ადგილი დაიკავა ფიზიკის ფაკულტეტის სპორტულმა კოლექტივმა, რომელმაც მოიპოვა 5 პირველი ადგილი. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: მეორე ადგილზე გამოვიდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი (ოთხი პირველი ადგილი); მესამეზე — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (ორი პირველი ადგილი); მეოთხეზე — იურიდიული ფაკულტეტი (ექვსი პირველი ადგილი); მეხუთეზე — ფილოლოგიის ფაკულტეტი; მეექვსეზე — ისტორიის ფაკულტეტი; VII — ეკონომიური ფაკულტეტი; VIII — ბიოლოგიის ფაკულტეტი; IX — ქიმიის ფაკულტეტი; X — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი; XI — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

უნივერსიტეტის რექტორის სპეციალური ბრძანებით სპარტაკიადაში საერთო პირველ ადგილზე გამოსულ ფიზიკის ფაკულტეტის სპორტულ კოლექტივს გადაეცა გარდამავალი დროშა, თასი და დაჯილდოვდა სპორტული კლუბის I ხარისხის დიპლომით.

მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულ გეოგრაფია-გეოლოგიისა და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტების კოლექტივებს გადაეცათ გარდამავალი ჯილდოები და II და III ხარისხის დიპლომები (შესაბამისად).

სპორტის სხვადასხვა სახეებში პირველი ადგილების მოპოვებისათვის გარდამავალი ჯილდოები და პირველი ხარისხის სიგელები გადაეცათ ფიზიკის ფაკულტეტს — მძლეოსნობაში, ცურვასა და ფრენბურთში (ქალთა და ვაჟთა გუნდები), მაგიდის ჩოგბურთში; იურიდიული ფაკულტეტის სპორტსმენებს — სპორტულ ტანვარჯიშში, კლასიკურ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, კრივში, სროლასა და კალათბურთში (ქალთა გუნდი); გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სპორტსმენებს — ძალოსნობაში, ფეხბურთში, გეზრბენსა და კალათბურთში (ვაჟთა გუნდი); მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სპორტსმენებს — ველოსპორტსა და ჭადრაკში. ფილოლოგიის ფაკულტეტის სპორტსმენებს — მხატვრულ ტანვარჯიშში; ისტორიის ფაკულტეტის სპორტსმენებს — ფარიკაობაში.

პირად პირველობაში გამარჯვებულნი — უნივერსიტეტის სტუდენტთა X სპარტაკიადის ჩემპიონები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებითა და სპორტული კლუბის სიგელებით.

სპორტული გუნდების დაკომპლექტებისა და სპარტაკიადაზე მათი ორგანიზებულად გამოყვანისათვის მადლობა გამოეცხადათ და სპორტული კლუბის სიგელები გადაეცათ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დოცენტ გრიგოლ ზარდალიშვილს, IV კურსის სტუდენტებს — ლევან უჯმაჯურიძესა და კარლო ლეფონავას; ბიოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტ თემურ ენუქიძეს; ფიზიკის ფაკულტეტის უფროს ლაბორანტ გიორგი შერეზადაშვილს, ინჟინერ იოსებ თამაზაშვილს; ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტ ზურაბ დენტოშვილს; იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, დოც. გივი ინწკირველს, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს გიორგი ფუთურიძეს; მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარეს როლანდ რუხაძეს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას რექტორის ბრძანებით გამოეცხადა მადლობა.

## პროფესორ-მასწავლებელთა II სპარტაკიადა

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა I სპარტაკიადა 1956 წელს ჩატარდა. შემდეგმა, მეორე სპარტაკიადამ საგრძნობლად დაიგვიანა. მისი ჩატარება მხოლოდ წელს შეძლეს უნივერსიტეტის ადგილკომმა და სპორტკლუბმა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა II სპარტაკიადა, რომელიც 1-დან 12 ივნისამდე ჩატარდა, თავის პროგრამაში ითვალისწინებდა შეჯიბრებებს ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ტყვიით სროლასა და ფეხბურთში. წლევანდელი სპარტაკიადა წინა სპარტაკიადაზე უფრო მასიური, ორგანიზებული და კვალიფიციური აღმოჩნდა.

სპარტაკიადის პირველი დღეებიდანვე ფიზიკისა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა სპორტული კოლექტივები დაწინაურდნენ. მათთან ერთად შეჯიბრებებზე წარმატებით გამოვიდა ფილოლოგიის ფაკულტეტის კოლექტივი. უნდა აღინიშნოს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა გუნდებმა II სპარტაკიადაში უკეთესი ადგილები დაიკავეს, ვიდრე ამავე ფაკულტეტის სტუდენტმა-სპორტსმენებმა თავიანთ X სპარტაკიადაში.

მაგიდის ჩოგბურთში II სპარტაკიადის ჩემპიონები ფიზიკოსები გახდნენ. მეორე ადგილი აღმოსავლეთმცოდნეებმა მოიპოვეს. მესამე — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა.

ფეხბურთშიც ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი გამოვიდა გამარჯვებული. ფილოლოგიის ფაკულტეტის ფრენბურთელთა გუნდთან გამარჯვების შემდეგ მეორე ადგილი წილად ხვდათ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფრენბურთელებს. მესამე ადგილზე გამოვიდა ფილოლოგიის ფაკულტეტი.

II სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს შორის ყველაზე მასიური იყო შეჯიბრებები ჭადრაკსა და ტყვიით სროლაში.

ტყვიით სროლაში 9 ფაკულტეტის გუნდი მონაწილეობდა. 500 შესაძლებლიდან ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა მოაგროვა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა, მეორე ადგილზეა ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდი, მესამეზე — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გუნდი.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ჭადრაკში, სადაც თავიდანვე ფიზიკოსები დაწინაურდნენ და $18\frac{1}{2}$ ქულით I ადგილი დაიკავეს. II — III ადგილები კი ($17\frac{1}{2}$ ქულით თვითეულმა) გაიყვეს ფილოლოგიისა და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების მოჭადრაკეებმა. IV ადგილი წილად ხვდათ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მოჭადრაკეებს, V კი — გეოგრაფ-გეოლოგებს. შემდეგ ადგილებზე გამოვიდნენ ისტორიის, ქიმიისა და ეკონომიური ფაკულტეტების მოჭადრაკეები.

## ყურადღება!

**1959 წლის 27 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ჩვენი უნივერსიტეტის საქტოდარბაზში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო მართავენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის — პროფესორ შალვა იასონის ძე ამირანაშვილის დაბადების 60 წლისა და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომას.**

რედაქტორი ირ. ცეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 1 500. უე 02529